მატჩის გმირი – დავით გოგია!

ტაშკენტის “ფახთაქორისა” და თბილისის “დინამოს” გუშინდელი მატჩის წინ ორივე მხარე მძიმე სატურნირო მდგომარეობაში იყო: თბილისელები – ცხრილის შუაგულში, მასპინძლები – აუტსაიდერთა შორის, XV ადგილზე. ამას გარდა, გუნდებს აკლდნენ წამყვანი მოთამაშეები: “დინამოს” – ხურცილავა, ძოძუაშვილი, ასათიანი, “ფახთაქორს” – ფიოდოროვი.

ბრძოლა პირველივე წუთებიდან უკიდურესად დაძაბულად წარიმართა. რამდენიმე ურთიერთშეტევის შემდეგ დინამოელებმა საფუძვლიანად იგდეს ხელთ უპირატესობა და უკვე მე–8 წუთზე დაწინაურდნენ: მჭედლიშვილმა ძლიერად დაარტყა კარში, ბურთი მოხვდა ტაშკენტელთა ერთ–ერთ მცველს და ბადეში აღმოჩნდა. მე–16 წუთზე მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე წააქციეს რეხვიაშვილი და პენალტი ზუსტად გამოიყენა ყიფიანმა – 2:0.

ორი ბურთის უპირატესობა დასაწყისში თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო თბილისელთა საბოლოო წარმატებისთვის, მაგრამ მათ ვერ შეინარჩუნეს იგი, დათმეს ინიციატივა და “ფახთაქორმა” 30–ე წუთისთვის შეძლო ორივე გოლის გაქვითვა, ამასთან, ორივეჯერ თავი გამოიჩინა ცენტრალურმა მცველმა გოლიკოვმა. მან ჯერ შორიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი მოხვდა ძელს და ბადეში აღმოჩნდა, მერე კი “დინამოს” კარში დაინიშნა პენალტი და იმავე გოლიკოვმა ანგარიში გაათანაბრა.

ტაიმის დასასრულამდე თბილისელებს კიდევ მიეცათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობანი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში გუცაევმა, ყიფიანმა, რეხვიაშვილმა ვერ გამოიჩინეს საჭირო სიზუსტე.

შესვენების შემდეგ ტაშკენტელები საგრძნობლად გააქტიურდნენ, დინამოელებმა კი ტემპს უკლეს. ერთ–ერთ მომენტში გაფრთხილება მიიღო ყიფიანმა და, რახან ეს მისი მეორე გაფრთხილებაა, იგი ავტომატურად გააცდენს შემდეგ კალენდარულ შეხვედრას.

90 წუთი დამთავრდა ისე, რომ ანგარიში აღარ შეცვლილა და საჭირო შეიქნა გამარჯვებულის გამოსავლენად 11–მეტრიანების დანიშვნა. აქ თავი გამოიჩინა თბილისელთა მეკარე დ. გოგიამ, რომელმაც 3 პენალტი (!) აიღო და ტაშკენტელებს არ დაუტოვა მატჩის ხსნის საშუალება, კანთელაძემ, ებრალიძემ, წერეთელმა, მჭედლიშვილმა და ყიფიანმა კი ყველა საჯარიმო ზუსტად დაარტყეს. საერთო ანგარიშით 7:4 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

“დინამო” ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გოგია, პეტრიაშვილი, ებრალიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე, ყიფიანი, გუცაევი, რეხვიაშვილი, წერეთელი.

მატჩს სჯიდა მოსკოველი ა. ტაბაკოვი.

დინამოელებმა წააგეს დუბლიორთა შეხვედრა (2:3), თუმცა ისინი წინ იყვნენ ანგარიშით 2:0.

“ლელო”, 30 მაისი, 1973 წ.